№ 116 15 თიბათვე, ხუთშაბათი 1866—1878 15 თიბათვე, ხუთშაბათი № 116

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგეევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგეევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

# ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი, 12 ივნისს.** სტამბოლთან დიდი მოძრაობაა რუსის და ოსმალოს ჯარებისა.

**ვენა, 13 ივნისს.** გალიპოლთან და ბულაირთან დაყენებულ ოსმალოს არმიას ახალი ჯარები მოუმატეს; ამ ადგილების ციხეებს აგრეთვე თან-და-თან ამაგრებენ. ამ ჯარების უფროსად დანიშნულია ოსმან-ფაშა და იმას თანაშემწეებად არიან იბრაჰიმ-ფაშა და ჰაჯი-ფაშა.

**ბელგრადი, 12 ივნისს.** ომისათვის მოსამზადებლად სერბიამ მიიღო რუსეთისაგან ს ა მ ო ც ი ა თ ა ს ი იმპერიალი. ღენერალ ტოტლებენმა სერბიის არმიის მთავარ კვარტირაში რუსის აფიცრები ძველი-სერბიის და დასავლეთ ბოლგარიის შუა სამზღვრების გასაყვანათ.

**ბერლინი, 13 ივნისს.** რუსეთი დათანხმდა, რომ ოსმალეთს მიეცეს უფლება ბოლგარიის სამზღვრის ციხეების თავის ჯარით დაჭერისა. ამის მეტს რუსეთი არაფერს აღარ დაუთმობს. გადაწყვეტილია, რომ ქალაქი სოფია და სოფიის სანჯაყი ბოლგარიის სამთავროს შეუერთდეს. ამნაირად, დროებით დათანხმდნენ.

ბოლგარიის შესახებ მოლაპარაკებისათვის კონგრესს კიდევ ექნება რამდენიმე კრება.

-ბოლგარია თვითონ აირჩევს თავისათვის მთავარს.

რუსის წარმომადგენლები სერბიას და ჩერნოგორიას ურჩევენ, რომ ჯერ პირდა-პირ ავსტრიას მოელაპარაკონ და იმასთან დათანხმდნენ თავის მოთხოვნილების თაობაზედ; მაშინ კონგრესი უფრო ადვილად გაათავებს თავის საქმესაო.

**პეტერბურღის ბირჟა, 14 ივნისს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 98— „ |
| მეორესი — — — — | 96—37 |
| მესამესი — — — — | 96—12 |
| მეოთხესი — — — — | 96— „ |
| აღმოსავლეთის — — | 94—75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— | 8—14 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 238— „ |
| მეორე სესხის — — — | 222—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— | 24—60 | პენსი |
| ამსტერდამი— | 124—50 | ცენტი |
| ჰამბურგი— — | 209— „ | პფენიგი |
| პარიჟი — — | 257— „ | სანტიმი |

# საქართველო

## მასწავლებელთა კრება

ამ დღეებში ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ენკენისთვის პირველი რიცხვებიდამ თფილისში იქნება კრება თფილისის გუბერნიის სასოფლო შკოლების მასწავლებლებლებისა.

ეს იქნება პირველი ამ გვარი კრება თფილისში. თუ არ ვსცდებით, ქუთაისის გუბერნიის სასოფლო შკოლების დირექტორმა უფ. ტროფემ ერთხელ მოახდინა ამგვარი კრება; მაგრამ ჩვენ არ ვიცით—რა გაარიგა ამ კრებამ ან რა სარგებლობა მოუტანა იმან იმერეთის სასოფლო შკოლების საქმეს.

როგორც ჩვენი კერძო ცნობებიდამ და აგრეთვე თფილისის გუბერნიის შკოლების დირექტორის 1877 წლის ანგარიშიდამ სჩანს, თფილისის გუბერნიაში სახალხო განათლების საქმე ბევრად უკეთ მიდის, ვინემ ქუთაისის გუბერნიაში; განსაკუთრებით აქებენ კახეთის რამდენსამე სასოფლო შკოლას.

მაგრამ რაც უნდა კარგათ მიდიოდნენ ეს შკოლები, დარწმუნებული იყავით, რომ იმათი გაუმჯობესება და უკეთ წაყვანა კიდევ შეიძლება.

ამ ჩვენი სასოფლო შკოლების შესახებ ერთი ფაქტია შესანიშნავი და ყურადღების ღირსი:

სადაც შკოლას კარგი, გონიერი და დახელოვნებული მასწავლებელი ჰყავს, იქ თვითონ შკოლა ყოველის მხრით კარგად მიდის; სწავლაც კარგია, სოფელიც ყოველ შემწეობას აძლევს, სადგომიც რიგიანია და სხვ. ყველაფერი. პირ-იქით, თუ სოფელში მასწავლებელი უხეირო და უშნოა, შკოლის საქმეებიც უშნოთ მიდის, სოფელი მარტო მასწავლებელს კი არა, თავის შკოლასაც განზე და გულ-გრილად უწყებს ცქერას, ჯამაგირსაც თავის დროზე არ აძლევს, და თუ ძალათ ახდევინებენ, ენანება, სადგომისათვისაც და არც სხვა არაფრისთვის არ ჰზრუნავს.

აქედამ წარმოსდგება ის გაუწყნარებელი საჩივარი ზოგიერთი მასწავლებლისა, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით იმერეთიდამ გვესმის; თუ მასწავლებელი უჩივის სოფელს, რომ შკოლას ყურს არ უგდებსო, აქედამ თითქმის ყოველთვის ის დასკვნა უნდა გამოიყვანოთ, რომ თითონ მასწავლებელი უხეიროა.

მასწავლებელთა დრო-გამოშვებით კრებას ამ მხრით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენი სასოფლო შკოლებისათვის. ამ კრების უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ გაავარჯიშონ სწავლებაში, საგნების გადაცემაში ისეთი მასწავლებელნი, რომელნიც ამ საქმეში არ გავარჯიშებულან; ამას გარდა მოილაპარაკონ საზოგადოთ ყველამ ერთად—თუ რა ღონის-ძიებით, რა სახსრით შეიძლება სოფელში ხეირიანი შკოლის გამართვა.

დიდის სიამოვნობით ამოვიკითხეთ ჩვენ თფილისის გუბერნიის სასოფლო შკოლების დირექტორის „ანგარიშში" ის სიტყვები, რომ „ყველა შკოლებში საგნების სწავლა მშობლიურს ენაზედ არისო."

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენმა პედაგოგებმაც კი გაიგეს, რომ ეს მშობლიურს ენაზე საგნების გადაცემა—არის უპირველესი ჭეშმარიტება და მოთხოვნილება ყმაწვილის აღზრდის მეცნიერებისა, პედაგოგიისა. იმედია, რომ მომავალი კრება მასწავლებელთა დარწმუნდება იმაში, რომ იმ შკოლაში უკეთ მიდის სწავლა, რომელშიაც კარგი მასწავლებელი არის და რომლშიაც ეს მასწავლებელი მშობლიურს ენაზე ასწავლის შაგირდებს.

ამ გვარი კრებები რომ მუდამ წელს მოხდებოდეს და იმათ რომ ხეირიანი ხელ-მძღვანელი ეყოლებოდეს, უეჭველია, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ხალხის განათლებას, რადგან ამის წყალობით მოუმზადებელი და გამოუცდელი მასწავლებელნი გაიცნობენ სწავლების საქმეს და გაიწრთვნებიან თავის ხელობაში.

ამიტომაც ჩვენ დიდის სიამოვნებით შევიტყეთ ის ამბავი, რომ წელს ჩვენს

ქალაქში იქნება საზოგადო კრება თფილისის გუბერნიის სოფლის შკოლების მასწავლებლებისა.

ჩვენ არ ვიცით ჯერ—როგორი პროგრამმა არის ამ კრებისათვის უფ. დირექტორისაგან შედგენილი და ყველაზედ უმთავრესად რაზედ მოილაპარაკებენ; შექველია, ამაა თავის დროზედ გამოაცხადებს უფ. დირექტორი. მაგრამ იმის საჩვენებლად, თუ სხვაგან ამ გვარ კრებებზე რა საგნებს ეხებიან ხოლმე, მოგვყავს რამოდენიმე მუხლი იმ პროგრამმიდამ, რომელიც ფინლანდიის შკოლების უფროსებს შეუდგენია იქაურ მასწავლებელთა წლევანდელ კრებაში განსახილავად:

„მუხლი 2. საჭიროა, თუ არა, სამშობლო ენის სწავლას მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ჩვენს სოფლის შკოლებში?

„მუხლი 3. როგორ უნდა მიდიოდეს სოფლის შკოლებში ბუნებით მეცნიერების სწავლება, რომ ამ მეცნიერებამ ხალხს პრაქტიკულ ცხოვრებაში სარგებლობა მოუტანოს?

„მუხლი 4. რომელი სჯობია: სოფლის გარეთ რომ იყოს შკოლა და შაგირდებისათვის სადგომად ცალკე სახლი, თუ ის, რომ შკოლა შიგ სოფელში იყოს გამართული?

„მუხლი 6. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომ შაგირდებს სუსტი ცხოველებისა და ფრინველების დახოცვა და წვალება გადააჩვიოს.

„მუხლი 8. როგორ შეიძლება გაუმჯობესება სოფლის შკოლების მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობისა? და სხვ.

ს. მ.

## დღიური

*** ამ ორშაბათს ჩვენმა ქალაქის რჩევამ დასდვა, სხვათა შორის, შემდეგი ყურადღების ღირსი გადაწყვეტილებანი:

ა) ქალაქის ფანრების განათება გარდაეცა მოიჯარადრებს ზრიქუროვებს, ორის წლის ვადით; თითო ფანრის განათებაში ქალაქმა 25 მანეთი და 50 კაპ. უნდა აძლიოს წელიწადში;

ბ) რჩევამ მიანდო ქალაქის გამგეობას სთხოვოს უფ. თფილისის ღუბერნატორს, რომ ნება მიეცეს ქალაქს პირუტყვის საკლავი ადგილი ნავთლუღიდამ ისევ ძველ ადგილზე გადაიტანონ იმ პირობით, რომ ეს ადგილი სუფთად და გიგიენური კანონების დაცვით იყოს შენახული. ამ საშუალებით გაიაფდება ხორცი და მცხოვრებლებს კარგი ხორცის შოვნაც გაუადვილდებათო;

გ) რადგან თივა და ქერი გაიაფდა, ამის გამო ბირჟის იზვოსჩიკებს ისევ ძველებური ტაქსა დაენიშნოს ამ 20 ივნისიდამ, ე. ი. თითო გზობაში ფაეტონს—30 კაპ. და დროშკას—აბაზი.

*** ქალაქში გავრცელდა ამას წინათ ხმა, რომ ერთ დროს ქართველ მკითხველი საზოგადოების კარგი ნაცნობი და ახლა რუსულ გაზეთის „Голосъ"-ის კორრესპონდენტი უფ. გიორგი წერეთელი დაიკარგაო.

იმის უკანასკნელ კორრესპონდენციებიდამ, რომელნიც ზემოხსენებულს რუსულს გაზეთში იყვნენ დაბეჭდილნი, სჩანდა, რომ მაისის პირველ რიცხვებში ის ყოფილა ბათუმში და იქიდამ დერვიშ-ფაშას გამოუსტუმრებია. მას აქეთ თვეზე მეტი გავიდა და იმის ამბავი არაფერი არ ისმოდა. გაზ. „Голосъ"-ის თფილისელმა აგენტმა ეს გარემოება შეატყობინა კავკასიის მთავარ სამმართველოს უფროსს, რომელმანც, როგორც გვითხრეს, იმწამსვე ტელეგრამმები მიიწერა ბათუმში, ფოთში და ართვინში და იკითხა—ესა-და-ეს კორრესპონდენტი ხომ არ არის მანდაო.

ამ დღეებში ქალაქში მოვიდა ნამდვილი ცნობა, რომ უფ. გიორგი წერეთელი ამჟამად ტრაპიზონში ყოფილა. უფ. ფრენკელს („გოლოსის" თფილისელ აგენტს) მოსვლია იმისგან დეპეშა, რომელშიაც, როგორც გვითხრეს, იწერება, აქა ვარო და ფული აქაურ იტალიის კონსულის სახელზე გამომიგზავნეთო. ტრაპიზონიდამ უფ. წერეთელი აზრუმში აპირებს წასვლას

*** „თფილისის მოამბეს" გაუგია, რომ ჩვენს ქალაქში დაუწყიათ შენების აგება იმ სახელოსნო სასწავლებლისა, რომელსაც ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობა აფუძნებს თავის ხარჯით და თავის საჭიროებისათვის.

*** გუშინ საღამოს განოვის ქუჩაზე უფ. შოლკოვის მაღაზიის წინ, რომელსაც მიცვალებულების ჭირისუფლები კარგათ იცნობენ, ერთმა მეფაიტონემ (№ 1 4) მოაპარა ხალიჩა და თავის საჯდომს ქვეშ შედვა. მაგრამ, რადგან მარტო ქურდობა სცოდნია და ნაქურდალის დამალვა კი არა, ხალიჩის ბოლო გამოჩნდა, დაინახეს და წაართვეს. მეფაიტონე გაუშვეს, იმის ნომერი დაინიშნა უფ. შოლკოვმა.

*** „თფილისის განცხადებაში" დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ, როცა ქალაქის რჩევაში მცხოვრებლებისაგან მილიციისათვის კენჭის-საყრელი პირების სია შეადგინეს, ამ სიაში ზოგიერთი ისეთი პირები მოხვდნენ, რომელნიც მარტო-ხელნი არიან ოჯახში და რომელნიც ამის გამო განთავისუფლებულნი არიან კენჭის-ყრისა და მილიციაში გაყვანისაგან. რასაკვირველია, კენჭის ამოღების შემდეგაც შეუძლიანთ იმათ მილიციის სამსახურიდგან თავის დახსნა, მაგრამ ეს იაფად არ დაუჯდებათ იმათ."

## „დროების" კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთი, 10 ივნისს. დიდი ფაცა-ფუცი ჰქონდათ ჩვენს უეზდში სახალხო შკოლების მასწავლებლებს. წარსულ თვეში რევიზია მოახდინა ამ შკოლებში სახალხო შკოლების დირექტორის თანაშემწემ, უ. ქორქაშვილმა.

როგორც გამოვიდა იგი ქუთაისიდამ, მაშინვე გაიგეს ყველა მასწავლებლებმა. ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩვენში შკოლის სახლები კი არის, მაგრამ შაგირდები ზოგან შკოლაში ერთი არ მოიძიება და ზოგან კი ორი შაგირდი დაიარება. სასწავლებლის დავთრები რომ ნახოთ, აქ კი ბევრი გახლავსთ შაგირდების რიცხვი... ამ დავთრებში და სიებში თითქმის ღუღს სწავლა. ერთი განყოფილებიდამ მეორეში ოც-ოცი და მეტი შაგირდები გადადიან; თითო წელიწადში ათავებს ოცი და ოც-და-ათი შაგირდი შკოლას და ამაზედ მეტი შემოდის ყოველ წელს!

ერთი სიტყვით, თქვენ დარწმუნდებითა რომ ათ წელიწადში თითქმის ყველგლეხები დაიწყებენ რუსულად ლაპარაკს. მაგრამ ასე სწავლა დავთრებში და მიწერ-მოწერაში თუ მიდის, თორემ ნამდვილათ კი სულ სხვა გახლავს...

ყველა ღონის-ძიება იხმარეს მასწავლებლებმა, მაგრამ ვერაფერი გზით ვერ შეუყარეს ყველა სიაში დაწერილ შაგირდებს თავი. დაჰყარეს ხმა, რომ რევიზორს პატარა ჯვრები დააქვს თანაო და ყველა შაგირდს აძლევსო, ვინც კლასში დახვდებაო; მაგრამ შენც არ გაგიწყრეს ღმერთი! რევიზორმა წინ-და-წინ ბევრს შეატყობინა მოვდივარ და შაგირდები შეკრიბეო; მაგრამ რას შეკრებდნენ, როდესაც სულ არავინ ყოფილა. ერთ შკოლაში ორი შაგირდის მეტი არ უნახავს. ბევრი არბენინეს მამასახლისი, მაგრამ ვინ მოვიდოდა; როდესაც მეტი არავინ ყოფილა არა[illegible]დეა. შაგირდები

რიცხვი კი ტყუვილათ მეტი იყო ნაჩვენები.

აი, ამ ორი შაგირდისათვის გლეჯენ საზოგადოებას და მასწავლებელს, ამ ორი შაგირდის სწავლებაში, აძლევენ ოც-და-ხუთ თუმანს!... ნეტავი ხეირიანათ მიდიოდეს მაინც ამ ორი შაგირდის სწავლება, თორემ კიდევ არაფერი; მაგრამ ის არის უბედურება, რომ არც ეს ორი სწავლობს კარგად. არ გეგონოსთ, რომ ეს შაგირდები სწავლისათვის იყვნენ შკოლაში; ეს ორი ბავშვი მოქრთამებულია მასწავლებლისაგან, რომ მიზეზი იშოვნოს ფულის ალების და საზოგადოების გლეჯისა. მე მგონია, ცხადათ დაინახა რევიზის მომხდენმა, რომ ყველა შორაპნის უეზდის სასოფლო შკოლებში ერთი ორიოდეა მარტო, რომელშიაც ხეირიანათ მიდის სწავლის საქმე და ისიც მისთანა შკოლებში. რომელნიც მოტყუებით საზოგადოების განჩინებით არიან გახსნილნი...

ცხადათ დაინახავდა, რასაკვირველია, ყველასა და საინტერესოა მართლა მისი ანგარიშის წაკითხვა; მაგრამ ვინ ეღირსება მის წაკითხვას!... განა საზოგადოებას გააგებინებენ თავის შკოლების საქმეს? ხალხს სურს შეიტყოს—თუ როგორ ასწავლიან იმ ორიოდე შაგირდებს, რომელთათვის ისინი ასე უწყალოდ იგლიჯებიან, მაგრამ ამას საიდამ შეიტყობს? სასწავლებლის უფროსი ძრიელ ცდილობს, რომ ეს მხარე საიდუმლოთ დარჩეს ყველასთვის, რომ ვერავინ გაიგოს—თუ როგორ ასწავლის მასწავლებელი...

ამისთვის დიდი ფიქრის შემდეგ გამოიგონეს აქ სხვა-და-სხვა ფერის ბეჭდების დასმა მასწავლებლის მოწმობაებზე ყოველ რევიზიის დროს. ჩვენ გავხდით ღირსი ამ საიდუმლოს შეტყობისა და აი რა გავიგეთ: წითელი ფერის ბეჭედი დირექტორისა ნიშნავს იმას, რომ კარგად მიდის სწავლა შკოლაში; მწვანე ფერის ლაქა ნიშნავს იმას, რომ საშუალოთ მიდის სწავლა და შავი ფერის ლაქა ნიშნავს იმას, რომ ცუდათ მიდის სწავლა, განსაკუთრებით რუსული ენისა. ჩვენში უმეტესად შავი ფერის ლაქის ბეჭდები უსვამთ მასწავლებელთა მოწმობაებზე.... აი რა სიბრძნემდის მიაღწიეს ჩვენში!...

N. N.

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

პირველი სხდომა ბერლინის კონგრესისა, რომელიც 1 ივნისს მოხდა, ასე არის უცხო ქვეყნის გაზეთებში აწერილი:

„უველაზე პირველად კონგრესის თავსმჯდომარემ თ. ბისმარკმა წაიკითხა წესდება—თუ როგორ უნდა წაიყვანოს საქმეები კონგრესმა. ეს წესდება ერთხმად დაამტკიცეს. ერთი მუხლი წესდებისა, სხვათა შორის, თხოულობს, რომ, როცა რომელიმე საგანზე ჩამოვარდება კონგრესში სჯა, პირველად თავის ჰაზრი ამ საგანზე რუსეთის წარმომადგენელმა უნდა გამოსთქვას, მერე ინგლისისამ, ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ბოლოს ოსმალეთის დელეგატებმა!

„შემდეგ სან-სტეფანოს მორიგების პირობის მუხლებზე დაიწყეს სჯა. პირველი სიტყვა რუსეთს დაუთმეს. გრაფ შუვალოვმა გაახსენა კრებას ამ უკანასკნელი დროის პოლიტიკური მდგომარეობა, განმარტა ის მიზეზები, რომლის გამოც ატყდა ომი და ბოლოს წაიკითხა ის პირობა, რომელიც რუსეთსა და ინგლისს შეუკრავთ ერთმანეთში და რომლის ძალითაც რუსეთი თანახმაა, რომ ბოლგარია ორ პროვინციათ იქნეს გაყოფილი.

„ამის შემდეგ გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიისა და იტალიის წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადება, რომ ერთ დროს დაიწყონ სტამბოლიდამ რუსის ჯარებმა ადრიანოპოლამდინ და ინგლისის ფლოტმა ბეზიყის ნავსადგურამდინ.

„ამ წინადადებაზედ მომავალ ოთხშაბათს იქნება ლაპარაკი. ხვალ კი მარკიზ სალსბიური წარმოთქვამს თავის შენიშნვებს გრაფ შუვალოვის სიტყვის თაობაზედ. ამით გათავდა ეს პირველი სხდომა კონგრესისა.“

—

გრაფ ანდრაშიმ გამოაცხადა ბერლინში შეკრებილ დიპლომატებს, რომ ავსტრო-ვენგრიის ჯარების მოგროვებას სრულებით ის მნიშვნელობა არა 'აქვსო, ვითომც ჩვენ საომრათ ვემზადებოდეთო; ამ ჯარს ჩვენ მხოლოთ იმ განზრახვით ვაგროვებთო, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, ბოსნია და ჰერცოგოვინა დავიჭიროთო, რომელზედაც რუსეთი თანახმა არისო.

—

„Indép. Belge“-ის ბერლინელი კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში:

„ბევრს ლაპარაკობენ ამჟამად აქ იმაზედ, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრიის წარმომადგენლები თითქმის მუდამ დღე ერთად არიან და რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება აქვსთ. დარწმუნებით ამბობენ, ვითომც ამ სამს ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელთ განზრახვა აქვთო პირობა დასდვან, რომ, თუ ვინიცობაა ომი ატყდეს ან სხვა რამე აყალ-მაყალი მოხდეს ევროპაში, მუდამ ერთად და თანხმობით იმოქმედონ. რაღა თქმა უნდა, რომ, თუ ეს ამბავი გამართლდა, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ამ აღმოსავლეთის საქმეების, აგრეთვე საზოგადოთ ევროპის ყველა სხვა საპოლიტიკო საგნების გადაწყვეტაზედ.

„მე დამარწმუნეს, თ. ბისმარკის იმიტომ თავს ევლება და ეფერება ახლა ვადინგტონს, რომ უნდა საფრანგეთი ამ კავშირს მოაშოროსო.“

—

პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან, რომ ავსტრიისა და ინგლისის წარმომადგენელნი ისეთის თანხმობით მოქმედებენ ბერლინის კონგრესზედაო, რომ უეჭველია, ავსტრიის ყოველ მოთხოვნილების შესრულებას ინგლისი ეცდებაო და ავსტრიაც თავის მხრით ყოველ საბაასო საგანში ინგლისის მხარს დაიჭერსო.

—

ესევე გაზეთი გვაცნობებს, რომ როგორი თანხმობაც ავსტრიასა და ინგლისს შუა სუფევს, იმისთანავე თანხმობა არის საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთ შუაო.

—

ვენის გაზეთში „Presse“ ამობს, ოსმალეთის დელეგატებს აქვთ თავის მმართებლობისაგან მინდობილიო, ეცადნენ კონგრესზე, რომ არამც-და-არამც არ დაუთმონ რუსეთს ბათუმი, და ბაიზეთი ოსმალეთი თანხმაა მხოლოთ, რომ ნახევარი ბულგარია გაათავისუფლოს, თუ მეორე ნახევარი ისევ იმას დარჩება.

—

„მეინის სააგენტოს“ ოდესიდამ სწერენ, რომ სტამბოლისაკენ დაყენებულს რუსის ჯარებიდამ აქ დიდძალი ავათმყოფი ხალხი მოჰყავთო; ოდესსაში, სებასტოპოლში, ფეოდოსიაში და ნიკოლაევში 24,000 (მომეტებული ნაწილი შავი საოფლით ავათმყოფი) უნდა დააწვინონო.

# განცხადებანი

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

---

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით ამ ივნისის 16-სათვის დანიშნულია **ვაჭრობა გასასყიდლად საქალაქო მიწისა**, რომელიც მდებარეობს კახეთის გზაზე, მე-2 განყოფილების მე-15 უჩასტკაში და შეიცავს 251 ოთხ-კუთხ საჟენს ადგილს, გამოსადეგს შენობის გასაკეთებლად.

(3—3)

---

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული **სამზარეულო წიგნი**“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

(4—3)

---

## ქირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ქუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, სადაც ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

---

## ახალი წიგნი

**„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“**

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში—ჩართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

---

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

**ისყიდება: თფილისში**—ყველა წიგნის მაღაზიებში, **ქუთაისში**—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

**ფასი ყველგან ექვსი შაური.**

---

**ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში**

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

---

**ქ. გორში არის ხუთ-თვალიანი გასაქირავებელი სახლი**

**უფ. ჟურულისა** თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით.

ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთაევთან.

---

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა.

**ისყიდება:** ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბექათუბნის უჩასტკში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჩანეზოვთან და სვ. ცერაძესთან, ფოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

---

**ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში**

ქუთაისში—ისყიდება

ქართული წიგნი

## „სამზარეულო“

შედგენილი

კ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.

**ფასი ათი. შაური**

---

**ქუთაისში**

**ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:**

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

---

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 83 | | | | | | |
| აბ.-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 ივნისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი | 1 | 30 |
| ქერი ფუთი | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. | 6 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 99 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 70 |
| —ფხვნილი ფუთი | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუტისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს:** ქიუჩარიანცი—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიობის თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюня 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.